ბიულეტენი

სამეცნიერო ჟურნალის ,,ქართული პოლიტიკა,, სპეციალური გამოცემა

რევაზ ჯაველიძე

2015 #20

სამოქალაქო განათლების დამკვიდრება ახალგაზრდებში არაფორმალური განათლების გზით

სერია: ახალგაზრდული პოლიტიკა

ძვირფასო მეგობრებო!

კარგი მმართველობა, ფართო საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, სწორი, გონივრული გადაწყვეტილებების მიღება და მისი განხორციელების უზრუნველყოფაა.

საჯარო ადმინისტრირების სფეროში სახელმწიფო, რეგიონული, უწყებრივი თუ ადგილობრივი მმართველობის დონეზე გადაწყვეტილებებს საჯარო მოხელეები იღებენ და იმაზე, თუ რამდენად აქტუალურ თემებს „წამოწევენ" ისინი განსახილველად, ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის მდგრადი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება.

ჟურნალის სამეცნიერო რედაქცია მიესალმება და მხარს უჭერს თითოეული მოხელის მოსაზრებების, შეფასებების, დასკვნების სათანადოდ წარმოჩენას. რედაქცია დადგენილი წესით გამოაქვეყნებს მათი ავტორობით მომზადებულ საჯარო გამოსვლების ტექსტებს - პარლამენტის სხდომებზე, სამთავრობო ან ადგილობრივ ღონისძიებებზე, სამეცნიერო კონფერენციებზე, სემინარებზე; ასევე, რა თქმა უნდა, მათ მიერ გამოსაცემად მომზადებულ ცალკეულ სტატიებსა თუ წიგნებს.

ჩვენი მთავარი ამოცანაა, ნებისმიერი რანგის საჯარო მოხელის, პოლიტიკოსის არცერთი ღირებული, ინოვაციური, მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრება ან მოვლენათა სიღრმისეული ანალიზი არ დარჩეს განხილვის, გასაჯაროების გარეშე, რადგან ამან, შეიძლება, სერიოზულად დააზარალოს როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივი ინტერესები.

„ქართული პოლიტიკის" რედაქცია ღიაა თანამშრომლობისთვის და მოგმართავთ სახელმწიფო მოხელეებს, პოლიტიკოსებს - ნუ მოერიდებით საკუთარი პოზიციის საჯაროდ დაფიქსირებას და გადმოაგზავნეთ სათანადოდ რედაქტირებული ნაშრომი შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: info@georgianpolitics.com.

გამოცემების ციფრული ვერსია საჯარო სამსახურის ბიუროს დახმარებით უსასყიდლოდ პერსონალურად მიეწოდებათ სახელმწიფო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებში დასაქმებულებს, საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, მეცნიერებს, წარჩინებულ სტუდენტებს. აგრეთვე ის განთავსდება ჟიული შარტავას სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლის პოლიტიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე - www.politlibrary.ge.

ამჯერად რედაქცია ცალკე ბროშურის სახით გამოსცემს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილის რევაზ ჯაველიძის ნაშრომს „სამოქალაქო განათლების დამკვიდრება ახალგაზრდებში არაფორმალური განათლების გზით".

ყველამ ერთად შევუწყოთ ხელი „კარგი მმართველობის" განხორციელებას საქართველოში.

რევაზ ჯაველიძე

სამოქალაქო განათლების დამკვიდრება ახალგაზრდებში არაფორმალური განათლების გზით

გამომცემელი: ქიული შარტავას სახელმწიფო
პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა

აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის ჯონ კენედის სიტყვებით, “არასწორად განათლებული ბავშვი არის დაკარგული ბავშვი”[1].

2013 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) დაფინანსებით საქართველოში ჩატარდა ახალგაზრდობის ეროვნული კვლევა - “ეროვნული კვლევა ახალგაზრდებისა და მოზარდების მდგომარეობის შესახებ საქართველოში”, რომელიც “საქსტატმა” განახორციელა. ახალგაზრდობის და მათი საჭიროებების შესახებ მსგავსი კვლევა პირველად ჩატარდა, რომლის ფარგლებში ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებთან ერთად გამოკვლეულ იქნა, რამდენად გათვითცნობიერებულნი იყვნენ საქართველოში ახალგაზრდები სამოქალაქო განათლების კუთხით.

ახალგაზრდობის ეროვნულ კვლევაში გამოკითხულ იქნა 14-29 წლის ასაკის 2,500 ახალგაზრდა როგორც ქალაქებში (40%), ისე სოფლად (60%). აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა (69,2%) არ იცნობს გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციას (UN Convention on the Rights of the Child) ან არ გაუგონია მის შესახებ.[2] ის ახალგაზრდები,

1. “A child mis-educated is a child lost”.

2. ცნობისათვის, ეს კონვენცია გაერომ 1989 წლის 20 ნოემბერს მიიღო და ძალაში 1990 წლის 2 სექტემბრიდან შევიდა. კონვენცია შედგება 54 მუხლისაგან, რომელთაგან პირველი 42 მუხლი ეხება ბავშვებისა და მოზარდების ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებს (კერძოდ, ბავშვის სიცოცხლის,განვითარების,დაცვისდაადგილობრივთემში/საზოგადოებაში ჩართულობის/მონაწილეობის პრინციპებს). მასში მოცემულია ბავშვის უფლებები, სახელმწიფოს ვალდებულებები და ბავშვთა აღზრდასთან დაკავშირებული პირების მოვალეობები. 43-54 მუხლებში საუბარია იმაზე, თუ რა უნდა გააკეთონ სახელმწიფომ და ზრდასრულმა ადამიანებმა ერთად კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. კონვენციას მიერთებულია 193 ქვეყანა, მათ შორის საქართველო 1994 წლიდან, რითაც ჩვენმა ქვეყანამ აიღო კონვენციის შესაბამისი ვალდებულებების შესრულების სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ვისთვისაც ცნობილია კონვენციის შესახებ, ძირითადად ინფორმირებულნი არიან კონვენციის ბავშვის ე.წ. სიცოცხლის კატეგორიით გათვალისწინებული უფლებების თაობაზე, მაგრამ ნაკლებად იციან დანარჩენი სამი კატეგორიით გათვალისწინებული უფლებები.[3]

3. კონვენციის ყველაზე ფუნდამენტალური უფლებები გაერთიანებულია შემდეგ 4 მუხლში: (ა) მუხლი 2 - არა-დისკრიმინაცია - არავის აქვს უფლება მიიღოს რამე უპირატესობა ან დაიჩაგროს მისი რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, ნაციონალობის, სოციალური თუ ეთნიკური წარმომავლობის ან პოლიტიკური შეხედულებების გამო, ისევე როგორც ქონებრივი სტატუსისა თუ შეზღუდული შესაძლებლობის გამო; (ბ) მუხლი 3 - ბავშვის ინტერესების დაცვა - კანონები და ნორმატიული აქტები, რომელიც ეხება ბავშვებს, ხელს უნდა უწყობდეს მათი უფლებების მაქსიმალურად წარმოჩინებას და მათთვის მაქსიმალური სარგებელის მხარდაჭერას/უზრუნველყოფას; (გ) მუხლი 6 - არსებობა, განვითარება და დაცვა - სახელმწიფო ხელისუფლება ვალდებულია, დაიცვას ბავშვი და უზრუნველყოს მისი სრული განვითარება, როგორც ფიზიკური, ისე სულიერი, მორალური და სოციალური; (დ) მუხლის 12 - ჩართულობა/მონაწილეობა - ბავშვს აქვს უფლება, გამოთქვას აზრი იმ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომელიც მას ეხება და ეს აზრი მხედველობაში უნდა იქნას მიღებული.

ახალგაზრდობის ეროვნულმა კვლევამ წარმოაჩინა, რომ საქართველოში ახალგაზრდებს აქვთ შეზღუდული ცოდნა მოსახლეობის უფლებებსა და ვალდებულლებებზე. მაგალითად, გამოკითხული ახალგაზრდების მხოლოდ 11,6%-ია ინფორმირებული ძირითადი სამოქალაქო უფლებების შესახებ, კერძოდ ის, რომ მოქალაქე უნდა იყოს კანონმორჩილი, გადაიხადოს გადასახადები და მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. კანონმორჩილება მიჩნეულია საკუთარ სოციალურ მოვალეობად ქალაქებში გამოკითხულთა 88%-ის მიერ, ხოლო სოფლად გამოკითხულთა - 89%-ის მიერ. ქალაქებში მცხოვრები გამოკითხული ახალგაზრდობის 62,1% მიიჩნევს, რომ გადასახადების გადახდა ვალდებულებაა, რეგიონებში ეს ციფრი 53.7% პროცენტს შეადგენს. საინტერესოა, რომ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას ახალგაზრდების მხოლოდ 57.5% თვლის თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად. ქალაქ-სოფლის ჭრილში ეს მაჩვენებელი დიდად არ განხვავდება და შესაბამისად 58.3% და 56.6%-ს შეადგენს. რეგიონების მიხედვით არჩევნებში

მონაწილეობის მიღებას თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად ახალგაზრდების ყველაზე მაღალი წილი (81.1%) მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, ხოლო ყველაზე დაბალი (50.3%) ქვემო ქართლის რეგიონში მიიჩნევს.

ახალგაზრდობის ეროვნული კვლევის შედეგების საფუძველზე საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით მოწვეული ქართველი თუ უცხოელი ექსპერტების, ასევე არასამთავრობო სექტორის ჩართულობით შემუშავდა რეკომენდაციები, რომელიც საფუძვლად დაედო "საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის" შემუშავებას. ეს უკანასკნელი 2014 წლის 2 აპრილს საქართველოს მთავრობის #533 განკარგულებით დამტკიცდა.

ამ დოკუმენტის ერთ-ერთი მიზანია სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ახალგაზრდების ცოდნის ამაღლება. ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის მიღებით საქართველოს მთავრობამ აიღო ვალდებულება:

- უზრუნველყოს სამოქალაქო საკითხებში ახალგაზრდობის ცოდნის ამაღლება როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების გზით, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებით, რათა ახალგაზრდებს განუვითარდეთ და/ან გაუძლიერდეთ სახელმწიფოებრივი თვითშეგნება;
- ხელი შეუწყოს უმცირესობათა და საზოგადოების სპეციალური საჭიროებების მქონე ჯგუფების უფლებების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდას ახალგაზრდებისათვის;
- ხელი შეუწყოს უმცირესობათა და საზოგადოების სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდების ინტეგრაციას საზოგადოებრივ ცხოვრებაში ე.წ. ინკლუზიური თუ სხვა არაფორმალური განათლების პროგრამების ფარგლებში.

2015 წლის 5 მარტს "საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის" გათვალისწინებით საქართველოს მთავრობამ "საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმა (2015-2020 წწ.) დაამტკიცა. სამოქმედო გეგმა მთავარი ინსტრუმენტია ახალგაზრდული პოლიტიკის სისტემური და მდგრადი განვითარებისათვის, რომელიც მოიცავს ახალგაზრდული პოლიტიკის წარმართვისათვის აუცილებელ კონკრეტულ და დროში გაწერილ პროგრამებს, პროექტებს თუ აქტივობებს, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა განახორციელონ, მათ შორის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრომაც. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია სამოქალაქო განათლების სწავლების გაუმჯობესებაც. კერძოდ, იგეგმება:

- ✓ ახალგაზრდების ჩართვა არაფორმალური განათლების პროგრამებში სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ;
- ✓ სამოქმედო გეგმის პროგრამების/პროექტების/ღონისძიებების განხორციელებაში სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდებისა და სხვა ახალგაზრდების ინკლუზიური და თანაბარი მონაწილეობა;
- ✓ 2016-2021 წლების ეროვნულ სასწავლო გეგმაში სამოქალაქო განათლების საგნობრივი პროგრამების განახლება და დანერგვა; მათ შორის ეროვნულ სასწავლო გეგმაში არჩევითი საგნის - «ქართული სამხედრო ისტორია და ეროვნული თავდაცვა" დანერგვა.

იმედია, დამეთანხმებით, რომ გლობალიზაციის პირობებში სკოლის მიღმა ახალი, დამატებითი კომპეტენციების მიღება აუცილებელია ახალგაზრდებისათვის ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად. ასეთი დამატებითი კომპეტენციების შეძენის გზად მიგვაჩნია ახალგაზრდული საქმიანობის გაძლიერება და მის ფარგლებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობა.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ახალგაზრდული საქმიანობისა და არაფორმალური განათლების უნივერსალური დეფინიცია, ახალგაზრდული საქმიანობა ძირითადად განიხილება დაგეგმილ საგანმანათლებლო საქმიანობად, რომლის მიზანია დაეხმაროს ახალგაზრდებს, განიმტკიცონ ინდივიდუალური და სოციალური უნარ-ჩვევები ნებაყოფლობითი ჩართულობით საგანმანათლებლო,

შემეცნებით და რეკრეაციულ პროექტებსა და პროგრამებში. არაფორმალური განათლება კი ინდივიდუალური და სოციალური განათლების ნებისმიერი დაგეგმილი პროგრამაა, რომელიც არ არის ოფიციალური სასწავლო პროგრამების ნაწილი. არაფორმალური განათლების მთავარი მიზანია მთელი ცხოვრების მანძილზე დამატებითი ცოდნის, უნარ-ჩვევების და ღირებულებების შეძენა/გამომუშავება საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად რელიაზებისთვის.

2014 წელს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ მოამზადა „არაფორმალური განათლების საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო“ დოკუმენტი, რომელიც მოიცავს 9 საკვანძო კომპეტენციას. კერძოდ:

- სამოქალაქო კომპეტენცია;
- გარემოსდაცვითი კომპეტენცია (გარემო, ბიომრავალ-ფეროვნება და მისი დაცვა; განახლებადი ენერგიები და ენერგოეფექტურობა; დაბინძურება და ნარჩენების მართვა);
- ანალიტიკური, ტექნოლოგიური, ინფორმაციული და სამეცნიერო კომპეტენცია (ციფრული და საკომუნი-კაციო ტექნოლოგიები; საინფორმაციო-ანალიტიკური მუშაობა; გამოყენებითი მეცნიერება);
- სამეწარმეო და ინიციატივის კომპეტენცია (ინი-ციატივების გამოჩენა, საპროექტო ფორმით ჩამო-ყალიბება და განხორციელება; კრიზისის და ცვლილებების მართვა; ბიზნესის/მეწარმეობის სა-ფუძვლები და ფინანსების მართვა);
- შემოქმედებითობისა და კრიტიკული აზროვნების კომპეტენცია (შემოქმედებითობა და კრეატიულობა; კრიტიკული აზროვნება);

- დამოუკიდებლად სწავლის კომპეტენცია;
- ურთიერთობის კომპეტენცია (ჯანსაღი კომუნიკაცია; გუნდური მუშაობა; კონფლიქტების მართვა და არაძალადობრივი ურთიერთობა; საქმიანი ურთიერთობები; ემოციების მართვა);
- კულტურული გამოხატვის და კულტურათშორისი ურთიერთობის კომპეტენცია (კულტურათშორისი განათლება; კულტურატშორისი კომუნიკაცია; კულტურული მემკვიდრეების დაცვა; კულტურული თვითგამოხატვა ხელოვნებით და შემოქმედების საშუალებით);
- ჯანმრთელობის დაცვისა და ჯანსაღი ცხოვრების კომპეტენცია (ჯანდაცვა და მავნე ჩვევები; ჰიგიენა; სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა; თავისუფალი დროის ორგანიზება და რეკრეაცია).

სამოქალაქო კომპეტენციის მიზანია, განუვითაროს ახალგაზრდას უნარ-ჩვევები, რომელიც მას დაეხმარება სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად მოქმედებაში, ასევე კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებასა და დაცვაში. ის მოიცავს შემდეგ თემატურ მოდულებს:

1. დემოკრატიის საფუძვლები;
2. ჩართულობა/მონაწილეობა;
3. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები;
4. ისტორია და პოლიტიკური იდეოლოგიები/ქვეყნის მოწყობის მოდელები;
5. პრაქტიკული სამართალი;
6. სამოქალაქო თავდაცვა.

თითოეული თემატური მოდელის მიხედვით განსაზღვრულია ის ცოდნა, უნარები თუ ღირებულებები, რომლებიც ახალგაზრდებმა არაფორმალური განათლების პროგრამების შედეგად უნდა შეიძინონ. მაგალითად, ახალგაზრდამ უნდა იცოდეს:

- დემოკრატიის არსი და წარმომავლობა (თუ რომელი ორგანიზაციები მუშაობენ საერთაშორისო დონეზე დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების მიზნით);
- იცნობდეს დემოკრატიის პრინციპებს და ძირითად მახასიათებლებს;
- მმართველობის სხვა ფორმებს და მათ მახასიათებლებს;
- უნდა შეეძლოს დემოკრატიული პრინციპების გატარება ორგანიზაციულ ან/და არაფორმალურ ჯგუფში მუშაობის დროს, ყოველდღიურ ცხოვრებასა

და საქმიანობაში, და განასხვაოს დემოკრატიული პროცესები არადემოკრატიული პროცესებისგან;

- უნდა გამოხატავდეს საკუთარ, როგორც მოქალაქის, პასუხისმგებლობას საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე და ჰქონდეს მის მიმართ მიკუთვნების განცდა;
- მზად იყოს, ჩაერთოს ქვეყნის დემოკრატიულ მართვაში;
- აინტერესებდეს იმ ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობა, რომელთა საქმიანობაც მიმართულია დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისკენ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე;
- ჰქონდეს ჩამოყალიბებული მოსაზრებები დემოკრატიისა და მმართველობის სხვა ფორმების ძლიერ და სუსტ მხარეებზე.

ამჟამად სამინისტრო მუშაობს ისეთი მექანიზმების დანერგვაზე, რომლებიც „არაფორმალური განათლების საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო“ დოკუმენტის განხორციელებას უზრუნველყოფს. ამ კუთხით სამინისტრო გეგმავს რეგიონული ახალგაზრდული ცენტრების ქსელის შექმნას. გარდა ამისა, ახალგაზრდული საქმიანობის და არაფორმალური განათლების მხარდასაჭერად სამინისტროს მიერ სრულდება მუშაობა კანონპროექტზე “ახალგაზრდული საქმიანობის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ“, რომელშიც გაიწერება ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერის ზოგადი პრინციპები, არაფორმალური განათლების, ახალგაზრდული მოხალისეობის და ახალგაზრდების მავნე ზეგავლენისგან დაცვის ზოგადი მარეგულირებელი ნორმები.

და ბოლოს, მაჰათმა განდის სიტყვებით, "ხალხს, საზოგადოებას წარმოდგენა არ აქვს, თუ სინამდვილეში რა არის განათლება. ჩვენ ვაფასებთ მის ღირებულებას ზუსტად ისევე, როგორც ვაფასებს მიწის თუ საფონდო ბირჟაზე აქციე-ბის ღირებულებას. ჩვენ გვამოძრავებს სურვილი, მხოლოდ ისეთი განათლება მივცეთ ახალგაზრდას, რომ მან უფრო მეტი გამოიმუშაოს. და საერთოდ არ ვფიქრობთ, გავაუმჯობესოთ მისი ბუნება, ხასიათი... მანამ, სანამ იარსებებს მსგავსი მოსაზრება, არ იარსებებს იმედი, რომ ჩვენ ოდესმე გავიგებთ, დავინახავთ განათლების ნამდვილ ღირებულებას."[4]

მინდა ვისურვო, რომ ახალგაზრდული საქმიანობის და არაფორმალური განათლების განვითარებით და ზოგადი განათლების სისტემის დახვეწით ჩვენი ქვეყანა შეძლებს სამოქალაქო კომპეტენციით აღჭურვილი ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდას.

4. "The real difficulty is that people have no idea of what education truly is. We assess the value of education in the same manner as we assess the value of land or of shares in the stock-exchange market. We want to provide only such education as would enable the student to earn more. We hardly give any thought to the improvement of the character of the educated…. As long as such ideas persist there is no hope of our ever knowing the true value of education."

ავტორის მოკლე ბიოგრაფია

რევაზ ჯაველიძე

დაბადების თარიღი: 1975 წლის 21 ოქტომბერი

განათლება

1992 - 1998 წწ. - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურისტი

1996 - 1998 წწ. - ლუისის და კლარკის კოლეჯი (ქ. პორტლენდი, აშშ), პოლიტიკური მეცნიერების ბაკალავრის ხარისხი

1999 - 2000 წწ. - ტეხასის უნივერსიტეტი (ქ. ოსტონი, აშშ), იურიდიული ფაკულტეტი, მაგისტრის ხარისხი

პროფესიული საქმიანობა

1995 - 1996 წწ. - საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია, საერთაშორისო განყოფილება; პროექტის მენეჯერი

1998 - 1999 წწ. - საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია; იურისტი

2000 - 2003 წწ. - საერთაშორისო იურიდიული ფირმა „ბეიკერ ენდ მაქქენზი სი-აი-ეს ლიმიტედ“ (ქ. ბაქო, ქ. მოსკოვი), იურისტი

2004 წ. ივნისი - 2004 წ. დეკემბერი - საქართველოს პრემიერ მინისტრის აპარატი, მრჩეველი

2004 - 2006 წწ. - ფონდი „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოში“, მთავარი იურისტი, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

2004 - 2006 წწ. - ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

2006 წ. აპრილი - 2006 წ. დეკემბერი - საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია „ბუზ ალენ ჰამილტონი“, კონსულტანტი

2006 - 2007 წწ. - სატელეკომუნიკაციო კომპანია ს.ს „ტელენეტი“, იურიდიულ კორპორატიულ საქმეთა დეპარტამენტი, მთავარი იურისტი, დირექტორი

2007 - 2008 წწ. - უსადენო ინტერნეტ კომპანია შპს „ვიტელ ჯორჯია“ (ბრენდი „მაქსიმალი“), გენერალური დირექტორი

2009 - 2010 წწ. - შპს „თბილავიამშენი“

2010 - 2014 წწ. - ბრიტანული კომპანიების ჯგუფი „ტეტის პეტროლიუმ ლიმიტედ“ (დუბაი)

ენები: ქართული, რუსული, ინგლისური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

სარედაქციო ჯგუფი

ზურაბ ჯიბლაძე	პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
მარინე ბუაჩიძე	პასუხისმგებელი რედაქტორი
ნათია ვადაჭკორია	მასმედიასთან ურთიერთობები
დალი ჯვარშეიშვილი	ტექნიკური რედაქტორი
გია არაბული	მხატვრული რედაქტორი
გიორგი ჯიბლაძე	კონსულტანტი
ირინე ბარამიძე	მხატვარ-დიზაინერი
ია გაჩეჩილაძე	კორექტორი

ჭიული შარტავა 1944-1993 წწ.
ეროვნული გმირი, წმინდა გიორგის ოქროს, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის და სხვა ორდენების პატრონი, გენერალ-მაიორი

2014 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაფუძნდა ჭიული შარტავას სახელობის სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა. ჭიული ამავე უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტი და ასპირანტი იყო. მოგვიანებით მან აქვე დაიცვა დისერტაცია მართვის ეფექტიანობის საკითხებზე.
ხელისუფლებაში ყოფნისას ის ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობდა მეცნიერებთან. მისი ინიციატივით შეიქმნა ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფი, დაფუძნდა ჯერ ახალგაზრდული პრობლემების შემსწავლელი, ხოლო შემდეგ - საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირების და პროგნოზირების სამეცნიერო ცენტრები.
მისი პატრონობით სახელმწიფო მმართველობით საქმიანობაში პირველად დაინერგა სისტემური ანალიზის მეთოდი, ე.წ. „სისანი", რომელმაც მთლიანად შეცვალა ქვეყნის რეგიონალური საქმიანობის შეფასების და მართვის არსებული პრაქტიკა.
ჭიული შარტავას სახელთანაა დაკავშირებული შავნაბადზე „ახალგაზრდული ქალაქის", მდ. ვერეს მიმდებარე ტერიტორიაზე „მზიურის", ხოლო მოგვიანებით რუსთავში უნიკალური საბავშვო რაინიგზის მშენებლობა, რომლის გაშენებაც მისი ტოტალური დევნის პირობებში გმირობის ტოლფასი იყო.
მისი თაოსნობით აგებული მემორიალური ძეგლები „ცითელ ხიდზე" და რუხში ქართველ-აფხაზთა და მთლიანად კავკასიელთა მეგობრობის სიმბოლოდ იქცა.
ჭიული შარტავას სახელმწიფო მოღვაწეობა „კარგი მმართველობის" შესანიშნავი მაგალითია, ხოლო გარდაცვალება - სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ვაჟკაცის გმირული ნაბიჯი.
მისი მოწამეობრივი ცხოვრება ღირსეულად შეაფასა მისმა უწმინდესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, როდესაც განაცხადა, რომ მან „ჩვენი ქვეყნისთვის ძალზე მძიმე, ურთულეს დროში, იცხოვრა ისე, თითქოს მთელ ტკივილს ღებულობდა საკუთარ თავზე".

ჭიული შარტავას სახელობის
სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა
ახორციელებს "მაღლესი საუდმიური განათლების მესამე საფეხურის
(დოქტორანტურა) პროფესიულ საბაკალავრო-მაგისტრატურულ პროგრამებსა და
სამეცნიერო კვლევებს; აბრეთვე ეწევა პატიურ საქმიანობას
ახალგაზრდა პოლიტიკოსების და საჯარო მოხელეების მომზადების,
პროფესიონალური გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და
სტაჟირების ორგანიზაციის მიმართულებით.

#20 2015 ქართული პოლიტიკა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 0175, საქართველო, თბილისი,
კოსტავას ქ. 77 ვებ: **doctoralschool.ge**
ელ-ფოსტა: info@doctoralschool.ge ტელ: 571 169 992, 595 59 23 50